

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 6 აგვისტოს
ს ხ დ ო მ ი ს ო კ მ ი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N11

სხდომის დაწყების დრო: 18:30

სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), გიორგი თევზაძე, ირაკლი ყანდაშვილი, ციცინო ცხვედიანი, ზურა როსტიაშვილი, დათუნა მოდებაძე; გიორგი ტურაზაშვილი და მამუკა ნოზაძე (Webex პლატფორმით დისტანციურად).

საკითხი 1. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება

წევრები გაეცნენ:

(ა) ვილერი წოწორიას, ელგუჯა ახალაიას, გივი ლომინაძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ვილერი წოწორიას, ელგუჯა ახალაიას, გივი ლომინაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) წევრები გაეცნენ თინა ჯულუხაძის 2020 წლის 5 აგვისტოს განცხადებას თანდართული დოკუმენტებით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ თინა ჯულუხაძეს წევრობა ჰქონდა შეწყვეტილი 2019 წლის 2 ივლისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების გადაუხდელობის გამო. მას წარმოდგენილი ჰქონდა ცნობა ნასამართლობის შესახებ და 200 (ორასი) ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. განცხადებაში მითითებული იყო, რომ მან გადაიხადა ერთი წლის საწევრო გადასახადი და ითხოვდა წევრობის აღდგენას.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს განმცხადებლის მიმართ დარჩენილი დავალიანების გაუქმების შესახებ, თუმცა, მსგავსად აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმით“ გაწერილი პროცედურისა, განმცხადებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აღმასრულებელ საბჭოს მომართოს 2018-2019 წლების საწევრო დავალიანების (400-ოთხასი ლარი) გადახდის 6 თვის ვადით (2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე) გადავადების თაობაზე, ხოლო წარმოდგენილი საწევრო გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ჩაითვლება 2017 წლის საწევრო დავალიანების გადახდაში. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- წარმოდგენილი ქვითრის შესაბამისად გადახდილი თანხა ჩაითვალოს 2017 წლის საწევრო დავალიანების დაფარვად და დაკმაყოფილდეს თინა ჯულუხაძის განცხადება ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების შესახებ;
- ეცნობოს განმცხადებელს, რომ მსგავსად აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმით“ გაწერილი პროცედურისა, მას, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აღმასრულებელ საბჭოს მომართოს 2018-2019 წლების საწევრო დავალიანების (400-ოთხასი ლარი) გადახდის 6 თვის ვადით (2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე) გადავადების თაობაზე;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი 2. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა

აღმასრულებელი საბჭოს წევრებს მიწოდდა ინფორმაცია ასოციაციის შემდეგი წევრების მიერ წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების თაობაზე - თამილა პაპავა, ზაზა რამიშვილი, ზაზა ვარშანიძე, კახაბერ ხურცილავა, ლანა მოდებამე, ლელა ჭანკოტამე, ირაკლი გვენეტამე, ნინო ტაგანაშვილი, ეკატერინე მოდებამე, თამარ გოცირიძე.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრების (ირაკლი გვენეტამე, ნინო ტაგანაშვილი, ეკატერინე მოდებამე, თამარ გოცირიძე) განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ. აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ განმცხადებელ წევრს, რომელსაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2020 წლის საწევრო აქვს გადასახდელი, ეცნობოს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა, წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის, პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: „საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა, წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, პირველი

პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21² მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოაღნიშნული პირების განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამასთან, 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს - ირაკლი გვენეტაძეს, ნინო ტაგანაშვილს, ეკატერინე მოდებაძეს, თამარ გოცირიძეს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანებისა და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 3. ასოციაციის წევრების განცხადებების განხილვა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში 2020 წლის საწევრო გადასახადის 6 თვით გადავადების თაობაზე

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, 2020 წლის საწევრო გადასახადის 6 თვით გადავადების თაობაზე, 2020 წლის 18 მაისიდან - 2020 წლის 31 მაისის ჩათვლით ასოციაციას მომართა ჯამში 266-მა წევრმა, რომელთაც დაუკმაყოფილდათ განცხადებები 2020 წლის 11 ივნისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით.

მიუხედავად იმისა, რომ ასოციაციის წევრებს, წევრთა ერთიან სიაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომრებზე მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით მიეწოდათ ინფორმაცია „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, დადგენილ ვადაში ასოციაციისთვის მომართვის თაობაზე, მიმდინარე წლის ივლისის და აგვისტოს თვეში ასოციაციას დაგვიანებით მომართა დამატებით 16-მა წევრმა (რამაზ კაკუშაძე, იასონ ხარაბაძე, თამარ ტულუში, გიორგი მძევაშვილი, ღია ახალკაცი, მარიამ სანებლიძე, ნინო ბიბილური, სალომე ჩინჩალაძე, აპოლონ კონჯარია, მალხაზ ბოლქვაძე, მანანა ჭურაძე, თეონა ჩანქსელიანი, თეონა გუგეშაშვილი, გული ქარცხია, ხვიჩა ლაზარტყავა, მარია მესხი), 2020 წლის საწევროს მ/წლის 1 დეკემბრამდე გადავადების მოთხოვნით.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაგვიანებით მომართვის მიუხედავად, მას მიზანშეწონილად მიაჩნია, გათვალისწინებულ იქნას კოლეგების მიერ განცხადებებში მითითებული გარემოებები და მათაც მიეცეთ საშუალება, ისარგებლონ აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, 2020 წლის საწევრო გადასახადის 6 თვით გადავადების შესაძლებლობით.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და მათი მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება:

- დაკმაყოფილდეს აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, ასოციაციაში დამატებით შემოსული 16 წევრის (რამაზ კაკუშაძე, იასონ ხარაბაძე, თამარ ტულუში, გიორგი მძევაშვილი, ღია ახალკაცი, მარიამ სანებლიძე, ნინო ბიბილური, სალომე ჩინჩალაძე, აპოლონ კონჯარია, მალხაზ ბოლქვაძე, მანანა ჭურაძე, თეონა ჩანქსელიანი, თეონა გუგუშაშვილი, გული ქარცხია, ხვიჩა ლაბარტყავა, მარია მესხი) განცხადება, 2020 წლის საწევრო გადასახადის 6 თვით გადავადების თაობაზე;
- აღნიშნულ წევრებს გადაუვადდეთ 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდა მიმდინარე წლის 1-ელ დეკემბრამდე.

საკითხი 4. ლევან მღებრიშვილის განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ ლევან მღებრიშვილის 2020 წლის 4 აგვისტოს განცხადებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ იგი იყო ასოციაციის წევრი 2011 წლიდან. მან 2012 წელს მიიღო მოკლე ტექსტური შეტყობინება ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის შესახებ, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო წევრობის შეწყვეტასთან დაკავშირებით. წევრობის აღდგენის მოთხოვნით, ასოციაციასთან კომუნიკაციის დროს, მისთვის ცნობილი გახდა, რომ ჰქონდა 2012-2013 წლების დავალიანება - 400 ლარი. იგი თვლის, რომ რადგან 2012 წელს შეუწყდა წევრობა, 2013 წელს მასზე აღარ უნდა გავრცელებულიყო საწევროს გადახდის ვალდებულება და ითხოვდა აღნიშნული დავალიანების გაუქმებას ან განახევრებას, შემდგომ წევრობის აღდგენის მიზნით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2013 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით, 2013 წლის 15 თებერვლიდან დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება 2012-2013 წლების საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატთა გამოვლენისა და უფლებამოსილების შეწყვეტის მიზნით. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვრა 2013 წლის 10 მაისი. წარმოებაში მონაწილე წევრთა სია გამოქვეყნდა ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე, გაზეთში „24 საათი“ და გაეგზავნათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები მათ მიერ ასოციაციაში წარმოდგენილ ტელეფონის ნომრებზე.

აღმასრულებელი საბჭოს 2013 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით, 2013 წლის 7 ივნისიდან, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21³ მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნტის თანახმად, წევრობა შეუწყდათ იმ წევრებს, რომელთაც ერიცხებოდათ 2012-2013 წლების საწევრო დავალიანება. უფლებამოსილება შეწყვეტილ პირთა სია გამოქვეყნდა გაზეთში „24 საათი“.

წევრებმა განაცხადეს, რომ ლევან მღებრიშვილის განცხადებაში მითითებული ინფორმაცია მისთვის წევრობის შეწყვეტის და მის მიმართ 2013 წლის საწევროს გადახდის ვალდებულების არარსებობის შესახებ, მოიცავს უზუსტობებს: კერძოდ, ლ. მღებრიშვილი 2012 წელს ვერ მიიღებდა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ინფორმაციას და შესაბამისად, 2012 წელს ვერ შეუწყდებოდა წევრობა, რადგან აღმასრულებელი საბჭოს 2013 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით, 2013 წლის 15 თებერვლიდან დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება 2012-2013 წლების საწევრო დავალიანების მქონე ასოციაციის წევრთა მიმართ და აღმასრულებელმა საბჭომ 2013 წლის 20 მაისს მიიღო გადაწყვეტილება, 2012-2013 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირებისთვის 2013 წლის 7 ივნისიდან წევრობის შეწყვეტის შესახებ.

აქედან გამომდინარე, ლევან მღებრიშვილი 2011 წლიდან 2013 წლის 7 ივნისამდე იყო ასოციაციის მოქმედი წევრი და ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, მას 2011 წლის 31 დეკემბრამდე ჰქონდა 2012 წლის საწევროს გადახდის ვალდებულება, ხოლო 2013 წლის საწევრო კი, ამავე წესის თანახმად, 2012 წლის 31 დეკემბრამდე უნდა ყოფილიყო გადახდილი.

აღნიშნულ პერიოდში, ლევან მღებრიშვილს არ გადაუხდია საწევრო დავალიანება და არც ასოციაციისთვის მოუმართავს განცხადებით, საწევრო გადასახადის გადავადების მოთხოვნით.

წევრებმა განაცხადეს, რომ საწევროს გადახდის წესი დადგენილია ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის 29.3 პუნქტით, რომლის თანახმად „ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო წევრობის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს 21³ მუხლის, პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნტი (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს).

ამდენად, საბჭო თვლის, რომ ლ.მღებრიშვილის განცხადება მოიცავს მნიშვნელოვან უზუსტობებს და ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მისი მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არის დაუსაბუთებელი.

სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს განმცხადებლის მიმართ არსებული საწევრო დავალიანების გაუქმების შესახებ, თუმცა, მსგავსად აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმით“ გაწერილი პროცედურისა, განმცხადებლს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აღმასრულებელ საბჭოს მომართოს საწევრო დავალიანების ნაწილის გადახდის 6 თვის ვადით (2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე) გადავადების თაობაზე, ხოლო მეორე ნაწილის გადახდის და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე, საბჭო იმსჯელებს მისი ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- არ დაკმაყოფილდეს ლევან მღებრიშვილის განცხადება 2012-2013 წლების საწევრო დავალიანების გაუქმების/განახევრების თაობაზე;
- მსგავსად აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმით“ გაწერილი პროცედურისა, განმცხადებლს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აღმასრულებელ საბჭოს მომართოს საწევრო დავალიანების ნაწილის გადახდის

6 თვის ვადით (2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე) გადავადების და ხელახალი გაწევრიანებისთვის მომართვის თაობაზე;

- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი 5. აკრედიტაციის მინიჭების შესახებ განაცხადებების განხილვა

განმცხადებლები: 1. ააიპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაცია“ და 2. ააიპ „სამოქალაქო განვითარების საზოგადოება“

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული განცხადებები თანდართული მასალებით შესაბამისობაშია აკრედიტაციის წესებით დადგენილ მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

- დაკმაყოფილდეს ააიპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის“ განცხადება აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე;
- დაკმაყოფილდეს ააიპ „სამოქალაქო განვითარების საზოგადოების“ განცხადება აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

საკითხი 6. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ:

(ა) ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის 2020 წლის 30 ივლისის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელ კანონდებლობაში იყო ბევრი ხარვეზი და რამოდენიმე მათგანზე იყო გამახვილებული ყურადღება. კერძოდ, განმცხადებლის მოსაზრებით: „ადვოკატთა შესახებ“ კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით, აუცილებელია ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი ორგანოს შექმნა, რომელიც გააკონტროლებს ეთიკის კომისიის წევრების ქცევას და არა გადაწყვეტილებებს. ასევე, პრობლემაა კომისიის წევრების კვალიფიციურობის მიმართულებითაც; აგრეთვე, ხარვეზებია ასოციაციის ადმინისტრაციის და მენეჯმენტის მუშაობაში, რაც გამოიხატება ადვოკატის ოფიციალურ წერილზე პასუხის გაუცემლობაში, რაც მისთვის იყო შეურაცხმყოფელი.

წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, ეთიკის კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად, რაც მნიშვნელოვანია ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმების

დაცვის უზრუნველყოფისთვის. ეთიკის კომისიის საქმიანობის ეფექტურობის და საზოგადოებრივი ნდობის ამაღლების მიზნით, ასოციაციის საერთო კრება ეთიკის კომისიის 12 წევრს, 4 წლის ვადით, ირჩევს მოქმედ ადვოკატთა რიგებიდან, ხოლო 3 წევრს ირჩევს არა ადვოკატთა რიგებიდან. მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ეთიკის კომისიის მარეგულირებელი ორგანოს შექმნის შესაძლებლობას და ამ მიზნით კანონში შესატანი ცვლილებების მიზანშეწონილობის საკითხის წამოწევა დიდ დაფიქრებას და მეტ ანალიზს საჭიროებს, რათა არ მოხდეს ეთიკის კომისიის, როგორც დამოუკიდებელი ორგანოს საქმიანობის რაიმენაირად შეფერხება.

რაც შეეხება ეთიკის კომისიის წევრების კვალიფიციურობის საკითხს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია მოთხოვნები ეთიკის კომისიის წევრობის კანდიდატისადმი და ეთიკის კომისიის წევრები აირჩევიან მაღალი ლეგიტიმაციით, საერთო კრების მიერ, რომელიც ასოციაციის უმაღლესი ორგანოა.

განცხადებაში აღნიშნულ ასოციაციის ადმინისტრაციასა და მენეჯმენტში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, წევრებს დამატებით მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ნ. გოგმაჩაძის არაერთი წერილის მიუხედავად, არც ერთი მომართვა არ დარჩენილა უპასუხოდ.

განცხადების დასკვნით ნაწილთან დაკავშირებით, რომელშიც მითითებულია მოთხოვნა განმცხადებლის მიმართ ასოციაციის მხრიდან სათანადო პატივისცემით მოპყრობის შესახებ, წევრებმა განაცხადეს, რომ ასოციაციისთვის მნიშვნელოვანია მისი თითოეული წევრი და მენეჯმენტის პოლიტიკაა სწორედ ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობების, თანასწორობის პრინციპის, ერთიანი სტანდარტების და მიდგომების დანერგვა ორგანიზაციის ყველა წევრის მიმართ.

(ბ) წევრები გაეცნენ ადვოკატების - გელა ჩივაძის და სოსო კორკელიას (განმცხადებლები უშუალოდ ესწრებოდნენ სხდომას) 2020 წლის 31 ივლისის ერთობლივ განცხადებას აღმასრულებელი საბჭოსადმი, რომელშიც განმცხადებლები აღნიშნავდნენ, რომ 2020 წლის 6 თებერვალს ეთიკის კომისიის ერთ-ერთმა საპროცესო კოლეგიამ მიიღო დაუსაბუთებელი და მიკერძოებული გადაწყვეტილება. კერძოდ, განმცხადებლების მტკიცებით, არ იქნა გაზიარებული მათი ახსნა-განმარტებები, ობიექტურად არ იქნა ასახული მოწმეების პოზიციები და ასევე, მათი აზრით, კომისიამ საერთოდ არ ასახა განმცხადებლების პოზიციები და საქმის

განხილვა მოხდა დარღვევებით. კერძოდ, ეთიკის კომისია გასცდა მის უფლებამოსილებას და შევიდა საქმის არსებით განხილვაში და დაიწყო საქმის წარმოების სტრატეგიის განხილვა.

გელა ჩივაძემ აღნიშნა, რომ საპროცესო კოლეგია იხილავდა მის მიმართ ადვოკატის მხრიდან კოლეგიალობის პრონციპის დარღვევის საკითხს და ამ დროს, ადვოკატთა მხრიდან სასამართლო საქმის წარმართვის სტრატეგიის სისწორის და საქმეზე განხორციელებული იურიდიული მოქმედებების მართებულობის შეფასება საერთოდ არ წარმოადგენდა დისციპლინური განხილვის საგანს და ეთიკის კომისიის შესაბამისი კოლეგიის მიერ ამგვარი არასწორი პრაქტიკის დამკვიდრება საფრთხისშემცველია.

სოსო კორკელიამ ასევე აღნიშნა, რომ მართალია გელა ჩივაძის საჩივრის საფუძველზე საპროცესო კოლეგიის მიერ დაწყებულ იქნა დისციპლინური დევნა და საქმე გადაცემულ იქნა არსებითად განსახილველად, თუმცა თავად ის ამორიცხულ იქნა საჩივრის ავტორთა სიიდან, ისე რომ მას პრეტენზიაზე უარი არ განუცხადებია, რითაც მოესპო შესაძლებლობა არსებითად განხილულიყო საჩივარი მის ნაწილში, რადგანაც საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება. განცხადებაში მოთხოვნილი იყო კოლეგიის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.

აღმასრულებელი საბჭოს წევრმა გიორგი თევზაძემ აღნიშნა, რომ მისი აზრით, ეთიკის კომისია არ შეიძლება შედიოდეს ადვოკატის წარმოებაში არსებული საქმის განხილვისა და სტრატეგიაში და რომ ასეთი მიდგომა არასწორია.

აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ აღმასრულებელი საბჭოს უფლებამოსილება განსაზღვრულია “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 26-ე მუხლითა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-15 მუხლით, რომლებიც არ მოიცავს ნორმას, ეთიკის კომისიის საქმიანობის აღმასრულებელი საბჭოს მხრიდან რაიმე ფორმით კონტროლის თაობაზე. ამავე მუხლის, 15.2 პუნტის თანახმად კი საბჭო შეზღუდულია იმ უფლებამოსილებების განხორციელებაში, რომლებიც კანონმდებლობითა და ასოციაციის წესდებით განეკუთვნება ასოციაციის სხვა ორგანოების კომპეტენციას. ამავდროულად, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 28-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, ეთიკის კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად, ხოლო ასოციაციის წესდების 28.3 მუხლის თანახმად, „ეთიკის კომისია დამოუკიდებელია და თავის საქმიანობას ახორციელებს “ადვოკატთა შესახებ” კანონის და პროფესიული ეთიკის ნორმების საფუძველზე. ეთიკის კომისია ხელმძღვანელობს “ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ” დებულებით“.

აქედან გამომდინარე, აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განუმარტეს განმცხადებლებს, რომ საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სისწორესა თუ კანონიერების თაობაზე. საბჭოს წევრებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ დისციპლინური წარმოების სწორი პრაქტიკის დამკვიდრება მნიშვნელოვანია ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობისა და საზოგადოებრივი ნდობის მოპოვების თვალსაზრისით და შესაბამისად, ადვოკატების - გელა ჩივაძისა და სოსო კორკელიას განცხადება, ადვოკატის მიერ საქმის წარმართვის სტრატეგიაში ჩაურევლობის საკითხსა და სხვა მოთხოვნებზე სათანადო რეაგირების მიზნით, შესაძლებელია სამსჯელოდ გადაეგზავნოს თავად ეთიკის კომისიას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: მიემართოს ასოციაციის ეთიკის კომისიას ადვოკატების გელა ჩივაძის და სოსო კორკელიას ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულ საკითხებზე კანონმდებლობით განსაზღვრული წესით რეაგირების თხოვნით.”

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 20.08.2020 წლის სხდომის ოქმი - 06.08.2020 წლის სხდომის ოქმში ცვლილების (დამატების) შეტანის თაობაზე- ვებგვერდი 25.08.2020.

(გ) წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების კანდიდატურების (ზვიად მარკოიძე, ნათია გელაზონია, გიორგი ქათამაძე, ქეთევან ანდლულაძე, კობა ბობოხიძე, დავით ჯაფარიძე) აპლიკაციებს თანდართული ბიოგრაფიით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ზვიად მარკოიძის, ნათია გელაზონიას, გიორგი ქათამაძის, ქეთევან ანდლულაძის, კობა ბობოხიძის, დავით ჯაფარიძის კანდიდატურები.

(დ) წევრები გაეცნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფში გაწევრიანების მიზნით იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ წარმოდგენილ კანდიდატურებს.

მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული ჯგუფის დებულება და შემადგენლობა დამტკიცდა მ/წლის 14 ივლისის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფის დებულების მე-4 მუხლის თანახმად, ჯგუფის შემადგენლობა განსაზღვრულია 30 წევრით და ამჟამინდელი შემადგენლობა იძლევა იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ წარმოდგენილ წევრთა დამატების შესაძლებლობას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფის წევრებად იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ წარმოდგენილი კანდიდატები სამსახურის დირექტორ, რაჟდენ კუპრაშვილთან ერთად (დანართი 1).

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე